LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Date: 2021.01.04 16:44:14 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №2021-11
(გამარტივებული შესყიდვა)

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი საფინანსო სამსახურის უფროსის **ანა თოლორაიას** სახით და **შპს „აზრი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით ჯაფარიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის (SMP200005559) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.
1.7. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” სისტემის პროგრამული მხარდაჭერის მომსახურება (ტექნიკური დოკუმენტაციის (დანართი N1) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) (CPV-72261000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 80000 (ოთხმოცი ათასი) ლარს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2. ინსპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციის სამსახურის მრჩეველი მიხეილ დავიდოვი.
5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2021 წლის საკუთარი სახსრები.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის, ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების აქტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს (წერილობით ან სიტყვიერად) შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6. პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას კუთვნილი პირგასამტეხლოს ოდენობით შეამციროს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი საფინანსო სამსახურის უფროსის
ანა თოლორაიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის N2,
ტელეფონი: 2 94 16 80,
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №707407076,
ბანკის კოდი TRESGE22,
სკ - 203862622

მიმწოდებელი:

შპს „აზრი“,
წარმოდგენილი დირექტორის
დავით ჯაფარიძის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. N8, მიონის ცენტრი,
მე-6 სართული,
ტელეფონი: 2 555 444,
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი“
ანგ. №GE50VT7000000577551014,
ბანკის კოდი: UGEBGE22,
სკ -204452662

დანართი N1

ტექნიკური დავალება

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სისტემა შედგება სამი ძირითადი და სამი დამატებითი პროგრამისგან.

ძირითადი პროგრამებია:

1 publish.matsne.gov.ge
2 upload.matsne.gov.ge
3 matsne.gov.ge

დამატებითი პროგრამებია:

1) mobile application for IOS AND Android
2) Desktop საძიებო პროგრამა
3) Offline რედაქტორი

publish.matsne.gov.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე publish.matsne.gov.ge-ის პროგრამაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ჩაერთო ყველა ნორმატიული აქტის მიმღები. ეს არის პროგრამა, სადაც ხდება ნორმატიული აქტების შექმნა სტრუქტურის: წიგნების, თავების, მუხლების, პუნქტების მიხედვით, ვიზების დადება, ხელის მოწერა, მიღების თარიღისა და დოკუმენტის ნომრის მინიჭება და საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად გაგზავნა.

გამოყენებულ ტექნოლოგიები

სისტემა დაფუძნებულია JEE პლატფორმაზე JBoss 5.1 აპლიკაციის სერვერზე.

Web აპლიკაციისთვის გამოყენებულია შემდეგი ბიბლიოთეკები/ფრეიმვორკები: Google Web Toolkit (GWT) / GXT.

მონაცემთა ბაზად გამოყენებულია Oracle RDBMS სერვერი

upload.matsne.gov.ge

ხელმოწერილი დოკუმენტი შემოდის upload.matsne.gov.ge-ის პროგრამაში სადაც ხდება მისთვის სახელმწიფო რეგისტრაციის კოდის მინიჭება, კორექტორების მიერ წაკითხვა, დამუშავება და საგამომცემლო სამსახურის მიერ ამ დოკუმენტის გამოქვეყნება matsne.gov.ge-ზე.

გამოყენებული ტექნოლოგიები:

სისტემა დაფუძნებულია JEE პლატფორმაზე JBoss 5.1 აპლიკაციის სერვერზე.

Web აპლიკაციისთვის გამოყენებულია შემდეგი ბიბლიოთეკები/ფრეიმვორკები: JBoss Seam, Richfaces, Java Server Faces, Google Web Toolkit (GWT) / GXT.

მონაცემთა ბაზად გამოყენებულია Oracle RDBMS სერვერი

matsne.gov.ge

ნორმატიული აქტების გამოქვეყნება matsne.gov.ge-ს ვებგვერდზე წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის სისტემის საბოლოო ეტაპს.

მაცნეს ვებგვერდზე კანონებთან ერთად განთავსებულია საქართველოს ყველა უწყების, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველი ერთეულების მიერ მიღებული ყველა ნორმატიული აქტი.

ვებგვერდზე ხდება ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების, კანონპროექტების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საჯარო განცხადებების გამოქვეყნება.

გამოყენებული ტექნოლოგიები:

Apache, PHP, Drupal 7.

Desktop საძიებო პროგრამა

Dedktop საძიებო პროგრამით ხდება რჩეულად მონიშნულ სამართლებრივ აქტებზე წვდომის უზრუნველყოფა ინტერნეტის არ ქონის დროს.

გამოყენებული ტექნოლოგიები:

სისტემა დაფუძნებულია JEE პლატფორმაზე Jetty Web სერვერზე.
Web აპლიკაციისთვის გამოყენებულია შემდეგი ბიბლიოთეკები/ფრეიმვორკები: Java Server Faces
მონაცემების ინდექსაციისთვის გამოყენებულია Elasticsearch.
მონაცემთა ბაზად გამოყენებულია SQLite-ი.

Offline რედაქტორი

რედაქტორის საშუალებით ხდება, ნორმატიული აქტის სტრუქტურის შექმნა და შენახვა ინტერნეტის გარეშე.

Offline რედაქტორით შექმნილი დოკუმენტი თავსებადია publish.matsne.gov.ge-ს პროგრამისთვის და შესაძლებელია მისი ატვირთვა.

გამოყენებული ტექნოლოგიები:

სისტემა დაფუძნებულია JEE პლატფორმაზე Jetty Web სერვერზე.
Web აპლიკაციისთვის გამოყენებულია შემდეგი ბიბლიოთეკები/ფრეიმვორკები: Google Web Toolkit (GWT) / GXT / The Standard Widget Toolkit (SWT).

INDEXER

მაცნეს სისტემაში ინტეგრირებულია ინდექსაციის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გამოქვეყნებული დოკუმენტების ვებგვერდზე ასახვას.

გამოყენებული ტექნოლოგიები:

სისტემა დაფუძნებულია JEE
მონაცემების ინდექსაციისთვის გამოყენებულია Elasticsearch.

Mobile application

IOS (Objective C), Android (Native SDK, Java).

მიმწოდებელმა უნდა:

- უზრუნველყოს მაცნეს სისტემის და ამ სისტემაში შემავალი ყველა აპლიკაციის სრულყოფილი პროგრამული მხარდაჭერა:
- საჭიროების შემთხვევაში სისტემური უსაფრთხოებისთვის და ხარისხის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოს აუცილებელი სამუშაოების ჩატარება
- საჭიროების შემთხვევაში, მაცნეს სისტემაში დანერგოს დამატებითი ფუნქციები, ამ შემთხვევაში პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერის ყოველთვიური ჯამური მოცულობა შეადგენს 10 (ათ) საათს. ამ ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში დამკვეთის ტექნიკური მხარდაჭერა აღარ წარმოადგენს შემსრულებელის ვალდებულებას და მხარეები დამატებით უნდა შეთანხმდნენ ასეთი მომსახურების გაწევის პირობებზე.
- გონივრულ ვადაში მიაწოდოს დამკვეთს ახალი ფუნქციონალების ტექნიკური აღწერილობები და სამუშაოების შესრულების დრო, აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემსყიდველის მხრიდან ამოცანის დასახვიდან 3 კვირას
- უზრუნველყოს დამკვეთი ტექნიკური მხარდაჭერის სერვისით სამუშაო დღეებში 09:00 – 19:00 საათამდე. სამუშაო დღეებში არ ითვლება შაბათი და კვირა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ოფიციალური დასვენების დღეები.
- გაუწიოს შემსყიდველს სატელეფონო კონსულტაციები.
- გაასწოროს განსაზღვრული ხარვეზები რომელშიც, იგულისხმება პროგრამული უზრუნველყოფის იმ მუშა მდგომარეობაში დაბრუნება, რომელშიც ის იმყოფებოდა შესაბამისი ხარვეზის დაფიქსირებამდე.
- ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინოს მასზე რეაგირება და გონივრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი;
- ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ შემსყიდველს ელ.ფოსტაზე (mdavidovi@matsne.gov.ge) მიაწოდოს ინფორმაცია ხარვეზის გამომწვევი მიზეზების, ინციდენტის შინაარსის თაობაზე და არსებობის შემთხვევაში მისცეს შესაბამისი რეკომენდაცია

შემსყიდველი	მიმწოდებელი
---	---